სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 87

2019 წლის 24 ივლისი

ქ. თბილისი

„2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 29 მაისის N60 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 24 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N980754) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

დამტკიცებულია

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 24 ივლისის N87 ბრძანებით

კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	PHDF-19-5115	მეცხოველეობის ლექსიკის იზოგლოსები ქართული ენის დიალექტებში	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო
2	PHDF-19-2168	სამოქალაქო ცნობიერების გაზრდა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო
3	PHDF-19-1517	კვადრუპლექსების ოპტიკური და თერმოდინამიკური თვისებების გამოკვლევა ტყვიის თანაობისას	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო
4	PHDF-19-4784	გასტროენტეროლოგიურ ავადმყოფებში პირის ღრუს რბილი და მაგარი ქსოვილების დაავადებების განვითარების რისკი და პროფილაქტიკის ახლებური ხედვა	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო